

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3  
2018 წლის 18 იანვარი

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები დანართი №1 -ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის №9 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01.07.2017წ., 190040000.35.151.016219) „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

**მუხლი 3**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 თებერვლის №8 დადგენილება (w.w.w. matsne.gov.ge, 23.02.2016 190040000.35.151.016197) „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 01 მარტიდან.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ სეთურიძე

დანართი №1

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

N	რანგი	კატეგორია	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1			ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი	2650
2			ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე	1800
3			ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	1600
<b>ადმინისტრაციული სამსახური</b>				



4	I		ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	1500
5	II		სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1200
6	III	II	მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი საქმისმწარმოებელი	1000
7	III	II	უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვისა და კადრების საკითხებში	1000
8	II		ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი	1200
9	IV	I	ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უმცროსი სპეციალისტი	900
10	III	II	უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და შრომის საკითხებში	1000
11	IV	I	მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უმცროსი სპეციალისტი საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	900
12	III	II	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი სამეურნეო საკითხებში	1000
<b>შიდა აუდიტის სამსახური</b>				
13	I		შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	1500
14	III	II	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მონიტორინგის, შიდა კონტროლისა და ინსპექტირების საკითხებში	1000
<b>საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</b>				
15	I		საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	1500
16	II		ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი	1200
17	III	II	ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	1000
18	II		საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი	1200
19	III	II	საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	1000
<b>შესყიდვების სამსახური</b>				
20	I		შესყიდვების სამსახურის უფროსი	1500
21	II		შესყიდვების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	1200



22	III	II	შესყიდვების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი შესყიდვების დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხებში	1000
<b>ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური</b>				
23	I		ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი	1500
24	II		ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი	1200
25	IV	I	ქონების მართვისა და სტატისტიკის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი ქონების მართვისა და სტატისტიკის საკითხებში	900
26	II		ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი	1200
27	IV	I	ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უმცროსი სპეციალისტი მოსაკრებლების საკითხებში	900
<b>სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური</b>				
28	I		სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი	1500
29	II		სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი	1200
30	III	II	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის და სივრცითი დაგეგმარების საკითხებში	1000
<b>ზედამხედველობის სამსახური</b>				
31	I		ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	1500
32	III	II	ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	1000
33	III	II	ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	1000
<b>მერის წარმომადგენლები</b>				



34	III	I	მერის წამომადგენელი დაბა სტეფანწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში	1100
35	III	I	მერის წამომადგენელი სნოს ადმინისტრაციულ ერთეულში	1100
36	III	I	მერის წამომადგენელი სიონის ადმინისტრაციულ ერთეულში	1100
37	III	I	მერის წამომადგენელი გორისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში	1100
38	III	I	მერის წამომადგენელი გუდაურის ადმინისტრაციულ ერთეულში	1100
39	III	I	მერის წამომადგენელი კობის ადმინისტრაციულ ერთეულში	1100
<b>სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური</b>				
40	I		სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი	1500
41	IV	I	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უმცროსი სპეციალისტი	900
42	IV	I	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უმცროსი სპეციალისტი	900

